სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

Teacher training educational programme

მიმართულება: განათლება (03)
სპეციალობა: მასწავლებლის განათლება (0302)

პროგრამის ხელმძღვანელი:

ნინო ნახუცრიშვილი –პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

მიღებულია განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №18, 5 მაისი, 2017 წ.

ფაკულტეტის დეკანი: / პროფ. დ.მახაშვილი/

რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ
ოქმი № ——— , 7 მაისი, 2017 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელი: /ასოც. პროფ. შ. ჭკადუა/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № ——— , “——” ——————— 201—— წ.
უნივერსიტეტის რექტორი /ასოც. პროფ. ი. შიოშვილი/

თელავი
2018

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა **Teacher training educational programme**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ***ნინო ნახუცრიშვილი*** –პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი.

საკონტაქტო ინფორმაცია: email: n.nakhutsrishvili@gmail.com

T. 599- 28 55 75

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამოუკიდებელად არსებული 60 კრედიტიანი

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კურსდამთავრებულის სამასწავლებლო კვალიფიკაციას და აძლევს მას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლობის უფლებას არჩეული მიმართულების შესაბამისად;

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით, ასევე სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი.

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:</u>

პროგრამის ძირითადი მიზნები შესაბამისობაშია მისი ფუნქციონირების მისიასთან და აისახება შემდეგში:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის ეფექტიანი განხორციელება;
- სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საბაზო/საშუალო საფეხურის კვალიფიციური პედაგოგიური კადრის მომზადების ხელშეწყობა: მასწავლებლის პროფესიაში ახალგაზრდების მოზიდვა და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლის მომზადება, რომლის კომპეტენციები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოთხოვნებთან. ამით პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრას როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

- ზოგადი, საგნობრივი და პედაგოგიური კომპეტენციების დაუფლებისათვის საჭირო სასწავლო გარემოს შექმნა სტუდენტთათვის, რაც ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური, (პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უახლესი მეთოდური ცოდნითა და პროფესიული კომპეტენციებით აღჭურვილი) შემოქმედებითი, მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის მომზადებას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მითითებულ საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- ,,სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი-სკოლა" ამ უწყვეტ კავშირში ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი რგოლის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამაზე შემომსვლელთა მოზიდვას და სკოლების მომარაგებას მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრით;

პროგრამის ამოცანაა მისი განხორციელება მიზნების შესაბამისად.

სწავლის შედეგები:

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებში რიგი უნარების განვითარებას საკუთარი პროფესიული ზრდისა და სასკოლო გარემოში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული დაეუფლება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგისათვის საჭირო ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. კურსდამთავრებული გარკვეული იქნება განათლების სისტემის სამართლებლივ საფუძვლებსა და სტრუქტურაში, იმ ვალდებულებებში, რაც მას ევალება მოსწავლისა და სკოლის მიმართ, გათვითცნობიერებული იქნება ზოგადი განათლებისათვის საჭირო სფეროებში, რომ დროულად დაეუფლოს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციას და ოპტიმალურად უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელება, განვითარება. შეეძლება სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სასწავლო მიზნების შესაბამისად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, ეცოდინება და დაიცავს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვა.

კურსდამთავრებულს ექნება სათანდო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს საბაზო/საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის (საათობრივი ბადის) მიხედვით პროგრამით განსაზღვრული საგანებიდან, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, - ერთ-ერთი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს <u>კომპეტენციებს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:</u>

კრიტერიუმები	სწავლის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები)
ცოდნა და გაცნობიერება	• გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; • იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; ეროვნულ სასწავლო გეგმას, საგნობრივ სტანდარტებს; • ერკვევა მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობებში და იცის ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლასა და სასწავლო პროცესზე;

	• ფლობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურისათვის კონკრეტული საგნის სწავლების ზოდაგ და კერძო დიდაქტიკას, • აცნობიერებს სასწავლო მიზნის, სწავლება-სწავლის, შეფასების და შედეგების ურთიერთკავშირს და შეუძლია მათი სათანადოდ დაკავშირება; • აქვს ფართე ცოდნა საგნის სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების, ორგანიზების ფორმების შესახებ, ფლობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს და იცის როგორ გამოიყენოს ეფექტიანი სწავლება-სწავლის უზრუნველსაყოფად • აქვს საფუძვლიანი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება; • აქვს ცოდნა ის ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლასა და სასწავლო პროცესზე, ფლობს მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს; • აქვს ფართე ცოდნა გაკვეთილის სტრუქტურის შესახებ, თუ როგორ დაგეგმოს და წარმართოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; • აქვს მყარი ცოდნა იმ სასწავლო აქტივობების შესახე, როპმლებიც გამოიყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის, მათი აქტივობების გაზრდისათვის, შემეცნებითი, სოციალური თუ საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბება –განვითარებისათვის; • გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების მნიშვნელობა და იცის რა ხერხებით, გზებით და საშუალებებით შეუძლია მისი განხორციელება; • აქვს ცოდნა თემატური სასწავლო გეგმების, პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესისათვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავება-შედგენის შესახებ; • აქვს სისტემური ცოდნა ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების შესახებ; • აცნობიერებს ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს როლს სასწავლო პროცესში; • ერკვევა მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობებში. აცნობიერებს მასწავლებლისა და მოსწავლის სხვადასხვა როლს სასწავლო პროცესში და ამ როლების გავლენას სწავლების შედეგებზე. • ფლობს პედაგოგიური ეთიკის ნორმებს; • აქვს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ოპტიმალური ურთიერთობისა და კონსულტაციებისთვის საჭირო ცოდნა; • აქვს ცოდნა სხვადასხვა რესურსების შესახებ, რომელიც შეუძლია გამოიყენოს პროფესიული განვითარებისათვის საკუთარი საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სპეციფიკის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო რესურსების გათვალისწინებით; • შეუძლია სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების

	გათვალისწინებით გაკვეთილის წარმართვის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება და მოსწავლეთა აქტივობების მართვა; • შეუძლია მოტივაციის და კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით; • შეუძლია მოსწავლეთა ობიექტური, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის სხვადასხვა მეთოდების, ხერხების, საშუალებების და ფორმების გამოყენება; • შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; • შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის • შეუძლია ყველა მოსწავლეებისათვის თანაბარი, უსაფრთხო, სწავლის ხელშემწყობი, სამართლებლივი, ეფექტურად ორგანიზებული და საინტერესო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას ამ გარემოსთან, შესაბამისი ქცევის წესების ჩამოყალიბებას; • აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; • შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად აზროვნების და ზოგადად, სასწავლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში; • ერკვევა სსსმ ბავშვებთან მუშაობის მეთოდებში და შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება კლასში ამ მოსწავლეთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად; • შეუძლია სპეცილურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; • შეუძლია სპეციალისტებთან ერთად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შედგენა; • აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი. • შეუძლია საგნის სწავლების მეთოდიკის თეორიის საფუძველზე სასკოლო კურსის გააზრება-გამოყენება სხვადასხვა საკითხების მეთოდური დამუშავების დროს ● შუძლია საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და და განხორციელება;
დასკვნის უნარი	• შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, სწორად შეფასება, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნების გაკეთება • აქვს შესაბამის სიტუაციაში ადექვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი; • შესწევს აზრების გაგების, გაანალიზების, სინთეზირების და გადმოცემის უნარი; • შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება.; • შეუძლია შეფასების შედეგების ანალიზი, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი დასკვნების გაკეთება;

კომუნიკაციის უნარი	• პატივს სცემს მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას და მათთვის კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად ურთიერთობებს წარმართავს ურთიერთპატივისცემაზე აგებული კომუნიკაციით; • შეუძლია კოლეგიალური, ურთიერთ-პატივისცემაზე აგებული ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე კოლეგებთან, პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვის მიზნით. • შეუძლია თანამშრომლობა კოლეგებთან პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისათვის, შეუძლია პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება მათთან; • აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების მრავალმხრივად გამოყენების უნარი; • შეუძლია კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხების ეფექტური გამოყენება პედაგოგიურ საქმიანობაში, გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან • იცნობს გუნდური მუშაობის პრინციპებს და ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში.
სწავლის უნარი	• აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი • შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება, პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა და ამის საფუძველზე პროფესიული ცოდნის განახლება და გაუმჯობესება. • შეუძლია პროფესიული ცოდნის გაღმავება, ახალი ცოდნის შეძენა საჭიროებისამებრ და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსების, სწავლების ინოვაციური სტრატეგიების მოძიება, გამოყენება და პრაქტიკაში დანერგვა; სისტემატურად ეცნობა პროფესიულ ლიტერატურას და მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში.
ღირებულებები	• გაცნობიერებული და გააზრებული აქვს პიროვნული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ურთიერთობის, ასევე პროფესიული ეთიკის ნორმები და მოქმედებს მის შესაბამისად; • აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და პატივს სცემს მათ კულტურულ მრავალფეროვნებას; • აცნობიერებს და იზიარებს დემოკრატიული განათლების ღირებულებებს. • ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას; • პატივს სცემს აზრის მრავალფეროვნებას. აქვს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;

სწავლის შედეგების რუქა

#	სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	სწავლება და შეფასება	+	+	+	+	+	+
2	კვლევის მეთოდები განათლებაში	+	+	+	+		+
3	განვითარებისა და სწავლების თეორიები	+	+	+	+		+
4	პედაგოგიური ეთიკა	+	+	+	+	+	+
5	განათლების პოლიტიკა	+	+	+		+	
6	კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა	+	+	+	+	+	+
7	ინკლუზიური განათლება	+	+	+	+	+	+
8	ზოგადი ფსიქოლოგია	+	+		+	+	
9	განვითარების ფსიქოლოგია	+	+	+	+	+	+
10	ქართული ენის სწავლების მეთოდიკა	+	+	+	+	+	+
11	ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა	+	+	+	+	+	+
12	მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის ზოგადი კურსი, არითმეტიკული და ალგებრული მასალების სწავლების მეთოდიკა	+	+	+	+	+	+
13	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 1	+	+		+	+	+
14	გერმანული ენის სწავლების თეორიები და მეთოდები	+	+	+	+	+	
15	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 1	+	+	+	+	+	
16	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა 1	+	+	+	+	+	+
17	ქიმიის სწავლების მეთოდიკა (პირველი ნაწილი)	+	+	+	+		+
18	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 1	+	+	+	+	+	
19	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა 1	+	+		+	+	+
20	ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა 1	+	+	+	+	+	+
21	ისტორიის სწავლების მეთოდიკა. (1)	+	+	+	+	+	+

22	ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება	+	+	+	+	+	+
23	გეომეტრიული მასალისა და ალბათობა-სტატისტიკის სწავლების სწავლების მეთოდიკა	+	+	+	+	+	+
24	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 2	+	+	+	+	+	+
25	სამეტყველო უნარ_ჩვევების სწავლების მეთოდები	+	+	+	+	+	+
26	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 2	+	+		+		
27	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა 2	+	+	+	+		
28	ქიმიის სწავლების მეთოდიკა (მეორე ნაწილი)	+	+	+	+		+
29	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 2	+	+	+	+	+	
30	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა 2	+	+		+	+	+
31	სპორტული თამაშებისა და მძლეოსნობის სწავლების მეთოდიკა	+	+	+	+		+
32	ისტორიის სწავლების მეთოდიკა. (2)	+	+	+	+	+	+
33	ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+
34	სამოქალაქო განათლება	+	+		+	+	
35	სასკოლო ასაკის ბავშვის ჰიგიენა და უსაფრთხო გარემო	+	+	+			
36	განათლების ფსიქოლოგია	+	+	+	+	+	+
37	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწავლებაში	+	+	+	+	+	+
38	აღზრდის თეორია	+	+	+		+	+
39	დემოკრატიული განათლების პრინციპები	+	+	+	+	+	+
40	სასკოლო პრაქტიკა 1	+	+	+	+	+	+
41	სასკოლო პრაქტიკა 2	+	+	+	+	+	+

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აქტივობები, ფორმები:

სტუდენტთათვის სასურველი კონპეტენციების დასაუფლებლად სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლექცია/სემინარის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს.

კურიკულუმი სავალდებულო და არჩევითი კურსების მონაცვლეობით, სხვადასხვა სასწავლო აქტივობებით, ეხმარება სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში. ყოველი სასწავლო კურსის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზენტაციებს, სტუდენტთა ინდივიდუალური ნაშრომების წარდგენას, რომლებიც გამოყენებულია სტუდენტთა შეფასებისთვისაც. სწავლა-სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები, აქტივობები, ფორმები,: წერითი და ზეპირსიტყვიერი მუშაობა, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, სწავლების

ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობა, ლექციები დისკუსიის და დიალოგის თანხლებით, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები, სასკოლო პრაქტიკები, ახსნა–განმარტებები, დისკუსია/დებატები, დემონსტრირება, სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ევრისტიკული მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდები, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: პორტფოლიოს წარმოება ,პრეზენტაცია, სემინარები, დებატები, დემონსტრირება, მოკლე პროექტების მომზადება, ელექტრონული რესურსით სწავლების ელემენტები.

- **ლექცია** ითვალისწინებს სასწავლო პროგრამით დაგეგმილი ძირითადი თემატიკის განხილვას და სტუდენტის უზრუნველყოფას სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია თეორიული კვლევისა და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის საკვანძო დებულებების გამოკვეთაზე და მათ ანალიზზე;
- **სემინარული მეცადინეობა** ითვალისწინებს კონკრეტულ საკითხებზე განსახილველი თემატიკის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების, პრეზენტაციის მომზადებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორად აღიქვამს სტუდენტი შერჩეულ საკითხს, პრობლემას და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.
- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი მოთხოვნის მიხედვით ამუშავებს და ამზადებს საშინაო დავალებას, არგუმენტირებულ ესსეს, რეფერატურულ ნამუშევრებს, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთებისა და გაზიარების უნარს.
- **ჯგუფური (collaborative) და წყვილებში მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება.

  ჯგუფში მუშაობა შეიძლება დაკონკრეტდეს წყვილებში მუშაობით, რომელიც ასევე ეფექტურია კომუნიკაციის, სხვისი აზრის მოსმენის, პატივისცემისა და გაზიარების, თავისი მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენის უნარების ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული სტრატეგიები უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ და ეფექტურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. სტუდენტი ამ პრობლემის ადექვატურად გადასაწყვეტად მუშაობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მოიძიებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს შესაბამის სფეროში, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ყველა იმ მასალას, რომელიც დასმულ პრობლემას უკავშირდება. მოპოვებული მასალებისა და მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების შეჯერება ხშირად ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნის საფუძველს ქმნის.
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.
- **დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი** ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. მასში მრავალი სახის მასალა შეიძლება იქნას გამოყენებული, რომელიც თავის მხრივ ახალი მეთოდის გამოყენებასაც მისცემს სტიმულს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ (პრეზენტაცია). ეს მეთოდი გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

  დემონსტრირება, პრობლემის რაობიდან გამომდინარე, შესაძლოა ატარებდეს როგორც მარტივ, ასევე რთულ სახეს (მაგ: პირველ შემთხვევაში მარტივი საგანმანათლებლო ამოცანის დასმა ამოხსნის გზების მითითებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მრავალსაფეხურიანი (დაგეგმვა, მიმდინარეობა, ანალიზი).

  თვალსაჩინოების მეთოდის კარგი მაგალითია ვიდეომასალების ჩვენება და განხილვა, რომელიც მოდელირებული სიტუაციების ბუნებრის ფორმატს წარმოადგენს, ეს შეიძლება გახდეს **როლური და სიტუაციური თამაშების თემატიკა,** რომელიც ასევე სწავლა-სწავლების ეფექტური მეთოდოლოგიის ნაწილია. ვიდეომასალა შეიძლება აღწერდეს იმ სფეროში მომხდარ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას და ის გაგრძელდეს სტუდენტებთან ე.წ. **შემთხვევის ანალიზის** ფორმატით.
- **ლაბორატორიული მეცადინეობა** უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას.
- ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.
- **პრაქტიკული მეცადინეობის** დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, ესკიზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ.
- **სასწავლო პრაქტიკა** ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი ანვითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საგნისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად,
- ლექციების მსვლელობისას თეორიული მასალის გაღრმავებას ხელს უწყობს **ჩაშენებული პრაქტიკა,** რაც ითვალისწინებს საადიტორიო შეხვედრებისას განხილული და ათვისებული გარკვეული მასალის გამოყენებას, ცოდნის განმტკიცებას, პრაქტიკულ რეალიზებას სხვადასხვა დავალებების შესრულებისას. დავალებებში წინასწარ განსაზღვრულია

შესასრულებელი აქტივობები და დავალებაში წარმოსადგენი მოთხოვნები. პროცესი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილ დროს კონკრეტულ საჯარო სკოლაში ლექტორისა და საგნის მასწავლებლის უშუალო რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით.

- **კონსულტაციები** სტუდენტს ხელს უნდა უწყობდეს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.
- **პორტფოლიოს წარმოება** პორტფოლიოს შექმნა სტუდენტისა და ლექტორისათვის ერთგვარი მეტრია პროფესიული ზრდის დინამიკის დასადგენად და განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელებისას, თუმცა ნებისმიერი მიმართულების სტუდენტებისათვის ეს მეთოდოლოგია ეფექტურია და სასარგებლო.
- **ელექტრონული რესურსით სწავლება** – ეს მეთოდი ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას.

პროგრამის დასრულების პირობები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების დადასტურებას კურსდამთავრებულების მიერ. შედეგები დასტურდება ვალიდური და სანდო ინსტრუმენტებით: სწავლების პირველი სემესტრის ბოლოს და მეორე სემესტრის დასასრულს სტუდენტისთვის სავალდებულოა საგაკვეთილო პრაქტიკის გავლა, სადაც სტუდენტები ავლენენ ათვისებულ ცოდნას და ახდენენ მის რეალიზებას პრაქტიკულად. ამიტომ პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგაკვეთილო პრაქტიკას და შესაბამისი პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებას სტუდენტთათვის.

პროგრამის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად პერიოდულად ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და პროგრამის ხარისხის შეფასება, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლების გამოკითხვასა და გამოკითხვის შედეგების შეფასება-გამოყენებას ამ მიზნით. ამდენად, პროგრამის ხარისხი ფასდება კომპლექსურად, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად:

დასაქმების სფერო: პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უფლება დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე არჩეული მიმართულების შესაბამისი საგნის მასწავლებლად; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში კურსდამთავრებული არის უფროსი მასწავლებელი ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით. არსებული კანონმდებლობით მას უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით გაივლის გარე დაკვირვებას;

სათანადო კვალიფიკაციის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია იმუშაოს სპეციალური საჭიროების მქონე მასწავლებლად, ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში, სადაც ესაჭიროებათ ამ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი და/ან სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

<u>**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**</u> პროგრამის განხორციელებისათვის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში/განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე არის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები: ბუნებისმცოდნეობის, ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენების კაბინეტები, კომპიუტერული კლასი; ასევე, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი და უახლესი ბეჭდური და ელექტრუნული მასალებით აღჭურვილი, მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკის რესურსები:

ა) Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing.org)

ბ) IMF elibrary (**www.elibrary.imf.org**)

გ)Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books(**www.elgaronline.com**)
http://journals.cambridge.org
SAGE Journalshttp://online.sagepub.com/
3. "EBSCO Package"

Academic Search Elite
siness Source Elite

MasterFILE ELITE,
Library Information Science & Technology Abstracts (LISTA)
GreenFILE ERIC (the Education Resource Information Center)
Newspaper Source
Regional Business News

4. ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგი (EVERGREEN) ჩართვა 2010 წლიდან. სადაც ასევე ჩართული არიან:BritishLibrary-ბრიტანულიბიბლიოთეკა (გაერთიანებულისამეფო); AMICUS-კანადისეროვნულიგაერთიანებულიკატალოგი; U.S.NationalLibraryofMedicine-აშშ-სმედიცინისეროვნულიბიბლიოთეკა; UniversityofTorontoLibraries-ტორონტოს უნივერსიტეტის(კანადა)ბიბლიოთეკები; Bibliothèque de l'Université de Montréal -მონრეალის უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკებისქსელი; YorkLibrary-იორკის უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკებისქსელი; University of Western Ontario Library-დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკა; UniversityofOttawLibrarya-ოტავასუნივერსიტეტის(კანადა)ბიბლიოთეკები; UniversityofAlbertaLibraries-ალბერტასუნივერსიტეტის(კანადა)ბიბლიოთეკები; Universityof Manitoba Libraries -მანიტობას უნივერსიტეტის (კანადა) ბიბლიოთეკები; University ofMichiganLibrary-მიჩიგანისუნივერსიტეტის(აშშ)ბიბლიოთეკა; ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები; კალიფორნიის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები;
4. Elsevier – მონაცემთა ბაზები (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი):
1.ScienceDirect®online (სტუდენტებისა და პროფესურისთვის)
2.Scopus® online (უფრო სტუდენტებისთვის)
პროგრამისთვის გამოყენებული რესურსები (სასწავლო გარემო, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები, დამხმარე საშუალებები და აღჭურვილობა) ხელს უწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის რელევანტური, ობიექტური და გამჭვირვალეა.
სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა რეგულირდება ,,საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებისა **(#3, 2007 წ)** და (სსიპ) იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების **(ოქმი # 3, 02.03.2017)** მიხედვით.რომლის თანახმადაც სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება 2 აუცილებელი ფორმით, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის, (არაუმეტეს 40 ქულისა) საფუძველზე. თავის მხრივ, შუალედური შეფასება შედგება ცალკეული კომპონენტებისაგან: შუალედური წერითი გამოცდა და ზეპირი/წერითი გამოკითხვა. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები (საშუალებები): დემონსტრირება, პრეზენტაცია. ტესტი, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარდგენა,

პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. დანარჩენი კომპონენტების, მეთოდების და შესაბამისი ქულების შესახებ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაწვრილებითი ინფორმაცია მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

დადებით შეფასებად მიღებულია 51-100 ქულა.

კრედიტის მისაღებად სტუდენტი ვალდებულია მიიღოს გარკვეული ქულები როგორც შუალედური შეფასებაში, ისე დასკვნით გამოცდაზე. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულია როგორც შუალედური, ისე დასკვნითი გამოცდის ქულათა მინიმალური ზღვარი, რომლის გადალახვის გარეშე სტუდენტი ვერ იღებს კრედიტს.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას გადალახული აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (შესაბამისად შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 % ისა). გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გადალახავს დადგენილი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.(შესაბამისად შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 % ისა). სტუდენტის ცოდნის შეფასება გამოითვლება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულათა ჯამით. დადებით შეფასებად მიღებულია 51-100 ქულა.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კრედიტი.

საგამოცდო პროცესს წარმართავს თესაუს ერთიანი საგამოცდო ცენტრი.

პროგრამის ფარგლებში რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად დაგეგმილია ლექტორთა მიერ სტუდენტების განმავითარებელი შეფასება (ე. წ. სენდვიჩის მოდელი, სტუდენტთა ურთიერთ და თვითშეფასებები), რომელიც პირდაპირი (მაგრამ არა ერთადერთი) სტრატეგიული ინსტრუმენტია სტუდენტებისათვის ზოგადი(ტრანსფერული) უნარების განსავითარებლად (კომუნიკაციის, ეთიკური, სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, აზრის წარდგენისა და გაზიარების უნარები).

ამავე დროს, ლექტორის მიერ სტუდენტთათვის შეთავაზებული შეფასების ეს ფორმატი, სტუდენტის პროფესიული ზრდის ეტაპების დაფიქსირებას, პროგრესის(ან რეგრესის) დინამიურობის დადგენასა და სტუდენტის მომდევნო საგანმანათლებლო აქტივობების გაცნობიერებას უწყობს ხელს. ეს სწავლა-სწავლების ხარისხის ერთგვარი გაუმჯობესების ხელშემწყობი პირობაა.

კრედიტის მინიჭება სასწავლო კურსში ხდება სილაბუსში მითითებული მოთხოვნილი კომპეტენციების დაუფლების შემდგომ.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

პროგრამის განხორციელება ეფუძნება საქართველოს კანონებს ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ. იგი თანხვედრაშია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პედაგოგიური კადრის მომზადებას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,

პროგრამა ხორციელდება დამოუკიდებელად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის სახით 1 სასწავლო წლის (2 სემესტრი) განმავლობაში და ითვალისწინებს მითითებული დარგობრივი მიმართულებების შესაბამისად პროგრამაზე შემომსვლელთა მიღებას ყოველწლიურად, თითოეული მიმართულებით ოპტიმალური რაოდენობით არაუმეტეს 25 სტუდენტისა.

პროგრამა ხორციელდება ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ორი ცხრამეტკვირიანი სემესტრის განმავლობაში. მათგან მერვე კვირა განკუთვნილია შუალედური წერისთვის, ხოლო მეთხუტმეტე კვირა-პრეზენტაციისთვის, მე-16 და მე-17 კვირები განკუთვნილია დასკვნითი გამოცდისთვის, ხოლო მე-18 და მე-19 კვირები-დამატებითი გამოცდებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა ემყარება კომბინირებულ ვარიანტს: მოდულები და ცალკეული კურსები, მათი კრედიტები, გადანაწილება სემესტრების მიხედვით და თითოეულის სტატუსი ნათლად არის მითითებული. პროგრამაში ყველა კომპონენტი და მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს შესაბამისი განათლების მიღებას სტუდენტთა პროფესიული მომზადებისათვის საჭირო დისციპლინებში.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო კურსებს მოდულებიდან: ზოგადი დიდაქტიკა, საგნის სწავლების დიდაქტიკა, ფსიქოლოგია, ინკლუზიურ განათლებას, ასევე არჩევით კურსებს, რომელთა ათვისებაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პროფესიული ცოდნის გაფართოებას და უფრო მაღალ დონეზე აიყვანს მათ პროფესიულ კომპეტენციებს.

პროგრამისთვის განკუთვნილი 60 ECTS კრედიტი, განაწილებულია შემდეგი სახით: 47 კრედიტი სასწავლო კურსებია (44 კრედიტი სავალდებულო და 3 კრედიტი არჩევითი); ხოლო 13 კრედიტი დათმობილი აქვს სასკოლო პრაქტიკას. კრედიტების დაახლოებით მესამედი გათვლილია სააუდიტორიო შეხვედრებისთვის, ხოლო დანარჩენი, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, 1 კრედიტი უტოლდება 25 სთ-ს.

პროგრამის აგების დროს გათვალისწინებულია სასწავლო კურსების და მათი სწავლების თანმიმდევრობის სპეციფიკა. მასწავლებლის მომზადების სხვადასხვა სასწავლო კურსების, საგანთა სწავლების მეთოდიკების სწავლება წინ უძღვის სასკოლო პრაქტიკას იმისდა მიხედვით, თუ რას ითვალისწინებს კონკრეტული სასკოლო პრაქტიკის განხორციელება. ყველა მიმართულების საგნის

სწავლების მეთოდიკას დათმობილი აქვს 15 კრედიტი, რაც ორი სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება. განსხვავებულია ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება, რომლის შემთხვევაშიც სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეისწავლება ორი სასწავლო კურსი პარალელურ რეჟიმში: ქართული ენის სწავლების მეთოდიკა (5 კრედიტი) და ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (5 კრედიტი), ხოლო მეორე ნახევარში შეისწავლება ერთი სასწავლო კურსი: ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა (5 კრედიტი). ყოველივე აღნიშნულის გამო ამ მიმართულებით სტუდენტთა დატვირთვა სასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში ნაცვლად 30-30 კრედიტისა, შეადგენს 32-28 კრედიტს.

რაც შეეხება არჩევით კურსებს, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 3 კრედიტის ფარგლებში ინტერესის გათვალისწინებით აირჩიოს ერთ-ერთი სასწავლო კურსი.

პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და არჩევითი კურსების მოდულებში შემავალი ყველა სასწავლო კურსის, ასევე, ინკლუზიური განათლების ლექციები ყველა საგნობრივ მიმართულების სტუდენტთათვის ტარდება ერთად, ხოლო საგნის სწავლების დიდაქტიკა ტარდება საგნობრივი ჯგუფებისთვის ცალკ-ცალკე.

აღსანიშნავია, რომ რიგი სასწავლო კურსების სწავლებისთვის გარდა სააუდიტორიო ფორმისა, გათვალისწინებულია ე. წ. ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტებიც, რაც ითვალისწინებს გარკვეული დავალებების შესრულებას სკოლის ბაზაზე მცირეხნიანი ვიზიტისას, უშუალო კონტაქტს საგაკვეთილო პროცესთან სასკოლო გარემოში. ეს ცხადია ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ცოდნის პრაქტიკულ რეალიზების უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების დაუფლებას, სასკოლო სიტუაციების უკეთ შესწავლას, გამოკვლევას და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საკუთარი აქტივობების უკეთ დაგეგმვა-განხორციელებას. ყოველი ასეთი დავალება ფასდება გარკვეული ქულებით, რაც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსში.

ხანგრძლივი სასკოლო პრაქტიკა კი ხორციელდება ორ ეტაპად, ორი სემესტრის განმავლობაში. პირველ პრაქტიკას ეთმობა 4 კრედიტი, ხოლო მეორე პრაქტიკას - 9 კრედიტი. (დაწვრილებით ინფორმაციისათვის იხ. დანართი : ,,სასწავლო გეგმა“ და შესაბამისი სილაბუსები.)

აქტიურ სასკოლო პრაქტიკას სტუდენტი გადის საგნის სწავლების სპეციფიკის შესაბამისად.

სასწავლო გეგმა იხ .დანართის შესაბამისად.

<u>**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**</u>

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არის შესაბამისი ადამიანური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის სამეცნიერო და პედაგოგიური კომპეტენციის აკადემიური და სათანადო კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები.

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

№	ლექტორის გვარი, სახელი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსების დასახელება
1.	**ნინო ნახუცრიშვილი**	პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი,	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის ზოგადი კურსი, არითმეტიკული და ალგებრული მასალების სწავლების მეთოდიკა
2.				გეომეტრიული მასალისა და ალბათობა-სტატისტიკის სწავლების

				სწავლების მეთოდიკა
3.				დემოკრატიული განათლების პრინციპები
4.	**ნინო მოდებაძე**	პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,	პროფესორი,განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	კვლევის მეთოდები განათლებაში
5.				განვითარებისა და სწავლების თეორიები
6.				ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები
7.	**დავით მახაშვილი**	პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განათლების პოლიტიკა
8.				აღზრდის თეორია
9.	**ჰამლეტ რაზმაძე**	პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,	ასოცირებული პროფესორი განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა 1
10				სპორტული თამაშებისა და მძლეოსნობის სწავლების მეთოდიკა
11	**ნინო ბასილაშვილი**	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ზოგადი ფსიქოლოგია
12				განვითარების ფსიქოლოგია
13	**ქეთევან კახიანი**	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,	ასოც. პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განათლების ფსიქოლოგია
14	**შორენა ძამუკაშვილი**	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	სწავლება და შეფასება
15				პედაგოგიური ეთიკა
16				კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა
17				ინკლუზიური განათლება
18	**ნათელა მაღლაკელიძე**	განათლების მეცნიერებათა დოქტორი,	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, მოწვეული პროფესორი,	ქართული ენის სწავლების მეთოდიკა
19				ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

20				ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება
21	**დარეჯან გაგნიძე**	განათლების დოქტორი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა 1
22				სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა 2
23	**გივი ეჟიშვილი**	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	სამოქალაქო განათლება
24	**მაგდა დავითაშვილი**	ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,	პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 1
25				ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 2
26	**იზოლდა ჭინჭარაშვილი**	გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 1
27				გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 2
28	**ცისანა მოდებაძე**	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, უცხოური ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი.	გერმანული ენის სწავლების თეორიები და მეთოდები
29				სამეტყველო უნარ_ჩვევების სწავლების მეთოდები
30	**ნინო ჟონჟოლაძე**	ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი, მათემატიკა-ინფორმატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტი	ფიზიკის სწავლების მეთოდიკა 1
31				ფიზიკის სწავლების მეთოდიკა2
32	**დარეჯან მარგალიტაშვილი**	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, წამყვანი მასწავლებელი ქიმიის მიმართულებით	ასისტენტ პროფესორი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ქიმიის სწავლების მეთოდიკა (პირველი ნაწილი)
33				ქიმიის სწავლების მეთოდიკა (მეორე ნაწილი)
34	**მარიამ**	პედაგოგიკურ	ასოცირებული	ინფორმაციულ--საკომუნიკაციო

	ზაქარიაშვილი	მეცნიერებათა კანდიდატი,	პროფესორი მათემატიკა-ინფორმატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტი ინფორმატიკის მიმართულებით	ტექნოლოგიები სწავლებაში
35	**ქეთევან შაშვიაშვილი**	განათლების დოქტორი	უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 1
36	**ნატალია ბურდული**	განათლების დოქტორი	უცხო ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი	ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 2
37	**ალექსანდრე მოსიაშვილი**	ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;	ასოცირებული პროფესორი;	საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდიკა
38				ისტორიის სწავლების მეთოდიკა. (2)
39	**ნინო გიგაური**	ექიმი ფსიქოთერაპევტი	მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	სასკოლო ასაკის ბავშვის ჰიგიენა და უსაფრთხო გარემო

გარდა აღნიშნული რესურსისა, გამოყენებულია სხვა რესურსებიც: პროგრამის პრაქტიკის კომპონენტების განსახორციელებლად უზრუნველყოფილია თელავის რაიონის საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, მემორანდუმი. სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან პარტნიორობა, რაც ამავე დროს ემსახურება პერსონალის პროფესიულ განვითარებას და პროგრამის დახვეწას.

მასწავლებლისმომზადებისსაგანმანათლებლოპროგრამა
სასწავლო გეგმა

№	მოდული/სასწავლო კურსი	სტატუსი	კურსის კოდი	პრერეკვიზიტი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით		საათების განაწილება											სულ საათები
						ერთი სასწავლო წელი		საკონტაქტო									დამოუკიდ	ათ შორის ვიდეოლექცია	
						I სემესტრი	II სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული სამუშაო	laბორატორიული სამუშაო	ჩაშენებული პრაქტიკა	მოკლე წერა	სემინარი	პროზენტაცია	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა			
ა		სავალდებულო სასწავლო კურსები44 კრ																	
I		მოდული: პედაგოგიკა																	*425*
1	სწავლებადაშეფასება	სავალდ	EDS2TPPLE	არააქვს	3		3	13	5				8	2	2	2	43		75
2	კვლევისმეთოდებიგანათლებაში	სავალდ	EDS2TPPRME	არააქვს	3	3		13					13	2	1	2	44		75
3	განვითარებისადასწავლებისთეორიები	სავალდ	EDS2TPPDTT	არააქვს	3	3		13					13	2	1	1	45		75
4	პედაგოგიურიეთიკა	სავალდ	EDS2TPPPED	არააქვს	2		2	7	6					2	2	2	31		50
5	განათლებისპოლიტიკა	სავალდ	EDS2TPPEP		3		3	13					13	4	1	2	42		75
6	კლასისმართვადასასწავლო პროცესისხელმძღვანელობა	სავალდ	EDS2TPPCMLPM	EDS1PEDSS; EDS1PETU; EDS1PEPE; EDS1PEGP; ESD1PEAPP	3	3		13	13					2	2	2	43		75
II	ინკლუზიურიგანათლება	სავალდ	EDS2TPPIE	EDS1PEDSS; EDS1PETU;		5		13	8		10		5	2	2	2	83		*125*

				EDS1PEPE; EDS1PEGP; ESD1PEAPP															
III																			*175*
1	ზოგადიფსიქოლოგია	სავად	EDS2TPPGP	არააქვს	4	4		13					13	2	2	2	68		100
2	განვითარებისფსიქოლოგია	სავალ დ	EDS2TPPPD	EDS2TPPG P	3		3	13					13	2	2	2	43		75
IV																			*375*
	საგნისსწავლებისმეთოდიკა1	სავალ დ																	
1	ქართულიენისა და ლიტერატურისსწავლებისმეთو დიკა:																		
	ა ქართულიენისსწავლებისმე თოდიკა		EDS2TPPGLTM	არააქვს		5		13			25		13		4	2	68	10	125
	ბ ქართულილიტერატურისსწა ვლებისმეთოდიკა		EDS2TPPGLITM	EDS2TPPGL TM		5		13					13		4+2	2	91		125
2	მათემატიკისსწავლებისდიდაქტ იკისზოგადიკურსი, არითმეტიკულიდაალგებრულიმ ასალებისსწავლებისმეთოდიკა		DS2TPPGCDTMMT AAM	არააქვს		8		39	20		4	2	6	3	2	2	122		200
3	ინგლისურიენისსწავლებისმეთو დიკა 1		EDS2TPPELTM1	არააქვს		8		28					29	4	2	2	135		200
4	გერმანულიენისსწავლებისთეორ იებიდამეთოდები		EDS2TPPGLTTM1	არააქვს		8		13	3				49	2	2	2	129		200
5	გეოგრაფიისსწავლებისმეთოდიკა 1		EDS2TPPGTM11	რააქვს		8		13	3				49	2	2	2	129		200
6	ფიზიკისსწავლებისმეთოდიკა 1		EDS2TPPTM1	არააქვს		8		26	21		5		13	2	1	2	130		200
7	ქიმიისსწავლებისმეთოდიკა (პირველინაწილი)		EDS2TPPCTM1	არააქვს		8		50	10				15	2	2	2	119		200
8	ბიოლოგიისსწავლებისმეთოდიკა 1		EDS2TPPBTM1	არააქვს		8		26	26				13	5	2	2	126		200

9	სახვითიდაგამოყენებითიხელოვნებისსწავლებისმეთოდიკა 1		EDS2TPPMFAA1	არააქვს		8		28	27				10	2	2	2	119		200
10	ფიზიკურიაღზრდისთეორიადამეთოდიკა1		EDS2TPPTMPE1	არააქვს		8		26					39	2	2	2	129		200
11	ისტორიისსწავლებისმეთოდიკა(1)		EDS2TPPHTM1	არააქვს		8		45					24	2	2	2	125		200
	საგნისსწავლებისმეთოდიკა -2	სავალდ																	
1	ქართულიენისადალიტერატურისინტეგრირებულისწავლება		EDS2TPPITGL	DS2TPPGLTM			5	13					13		2+2	2	93		125
2	გეომეტრიულიმასალისადაალბათობა-სტატისტიკისსწავლებისმეთოდიკა		EDS2TPPMTPSGM	DS2TPPGCDTMMTAAM			7	25	21		4	2	5	3	2	2	111		175
3	ინგლისურიენისსწავლებისმეთოდიკა 2		DS2TPPELTM2	DS2TPPELTM1			7	13		10			41	3	1	2	105		175
4	გერმანული ენის დაგეგმვის დაგეგმვა		EDS2TPPGLL	DS2TPPGLTTM1			7	13					39	2	2	2	117		175
5	გეოგრაფიისსწავლებისმეთოდიკა 2		EDS2TPPGTM2	EDS2TPPGTM1			7	13					39	2	2	2	117		175
6	ფიზიკისსწავლებისმეთოდიკა2		EDS2TPPTM2	DS2TPPTM1			7	13	13	8	5		13	2	1	2	118		175
7	ქიმიისსწავლებისმეთოდიკა (მეორეწაწილი)		DS2TPPCTM2	DS2TPPCTM1			7	45	10				10	2	2	2	104		175
8	ბიოლოგიისსწავლებისმეთოდიკა		EDS2TPPBTM2	EDS2TPPBTM1			7	26	26				13	5	2	2	101		175
9	სახვითიდაგამოყენებითიხელოვნებისსწავლებისმეთოდიკა 2		DS2TPPMFAA2	DS2TPPMFAA1			7	14	28				10	2	2	2	117		175
10	სპორტულითამაშებისადამძლეოსნობისსწავლებისმეთოდიკა		EDS2TPPMTSGA	DS2TPPTMPE			7		39					2	2	2	130		175
11	ისტორიისსწავლებისმეთოდიკა(2)		EDS2TPPHTM2	DS2TPPHTM1			7	30					24	2	2	2	115		175

ბ		სასკოლოპრაქტიკა 13 კრ																	*325*
1	სასკოლო პრაქტიკა 1	სავალდ	EDS2TPPSP1			4											49		100
2	სასკოლოპრაქტიკა 2	სავალდ	EDS2TPPSP2	EDS2TPPSP1			9										137		225
ბ		*არჩევითიკურსები* 3 კრ																	
1	ახალისაგანმანათლებლოტექნოლოგიები	არჩევ	EDS2TPPNET	EDS2TPPLE	3		3	13					13	2	1	1	40		75
2	სამოქალაქოგანათლება	არჩევ	EDS2TPPCE	არა აქვს	3		3	13					13	2	2	2	43		75
3	სასკოლოასაკისბავშვისჰიგიენადაუსაფრთხოგარემო	არჩევ	EDS2TPPHSESAC	არა აქვს	3		3	13					13	2	2	2	43		75
4	განათლებისფსიქოლოგია	არჩევ	EDS2TPPsE	არა აქვს	3		3	13					13	2	2	2	43		75
5	ინფორმაციულ--საკომუნიკაციოტექნოლოგიების წავლებაში	არჩევ	EDS2TPPICTT	არა აქვს	3		3	13	11				2	2	2	2	43		75
6	აღზრდისთეორია	არჩევ	EDS2TPPTU	არა აქვს	3		3	7					6	2	1	1	58		75
7	დემოკრატიულიგანათლებისპრინციპები	არჩევ	EDS2TPPPDE	არა აქვს	3		3	13	13				4	2	2	2	39		75
სულ:						30	30												*1500*
						(32)	(28)	ქართულიენისა და ლიტერატურის მიმართულების არჩევის შემთხვევაში											